თერჯოლის მუნიციპალიტეტი

ქ.თერჯოლა

20 თებერვალი. 2022 წელი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 5

სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ლაშა გოგიაშვილი**- მერი-თავმჯდომარე
2. **მანუჩარ რობაქიძე** -მერის მოადგილე თანათავმჯდომარე.
3. **მირზა ქოჩიაშვილი** -მერის მოადგილე წევრი
4. **ავთანდილ ურიადმყოფელი** - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურილი ერთეულის ხელმძღვანელი -სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი.
5. **გოდერძი თურქაძე** -სივრცითი მოწყობის,ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - წევრი.
6. **მარინა გაბეხაძე** -საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის,საფინანსო-სახაზინო განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი - წევრი.
7. **არჩილ ქოჩიაშვილი** - ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი.
8. **აკაკი ქურციკიძე** - ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ - წევრი.
9. **გურამი თურქაძე** - განათლების,კულტურის,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი.
10. **დიანა ფოცხვერაშვილი** - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი.

11. ტარიელ ფანჩულიძე - ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავების და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის ხელმძღვანელი - წევრი.

12. სოსო დევიძე - ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი - წევრი.

14. ირაკლი ჩხეიძე - ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი - წევრი.

15. თამილა არჯევანიძე - ა(ა)იპ თერჯოლის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი - წევრი.

16. პაატა გოგიაშვილი - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - წევრი.

17. ნათია სახეჩიძე - იურიდიული სამსახურისპირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მ/შ - წევრი.

18. ინგა გეწაძე - შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი - წევრი

19. მაია თორთლაძე - ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი - წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპების მიერ მომზადებული წლიური ანგარიშების წარგენა სამუშაო ჯგუფისათვის განხილვის მიზნით.(მომხს.ა. ურიადმყოფელი)
2. მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადებული 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის წარდგენა სამუშაო ჯგუფისათვის განხილვის მიზნით.(მომხსენებელი ა.ურიადმყოფელი)

მოისმინეს: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის,სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის-ავთანდილ ურიადმყოფელის მოხსენება, რომელმაც გააცნოთ ჯგუფის წევრებს ა(ა)იპების 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ წარმოდგენილი ანგარიშები. მომხსენებელმა მუნიციპალიტეტის ექვსივე ააიპის შესახებ მოგვაწოდა დეტალური ინფორმაცია 1) მოსწავლე -ახალგაზრდობის ააიპი,რომელიც ემსახურება მომავალი თაობის აღზრდას,მუშაობს 4 პრიორიტეტული მიმართულებით, რომელიც მოიცავს 25 პროგრამას,

რომელთა განსახორციელებლად მუშაობს 24 კლუბი და ერთი წრე. 2021 წელში ცენტრის მიერ გახარჯული იქნა189919 ლარის სუბსიდია. 2)სახელოვნებო განათლების,კულტურისა და ,ტურიზმის ცენტრის შემადგენლობაში შედის ფილიალები ; საკუთრივ ცენტრი, სახელოვნებო სკოლები,ბიბლიოთეკები,, კულტურის სახლი, მუზეუმები და ტურიზმის განყოფილება. ცენტრმა ქცეყანაში შექმნილიეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად, მაინც მოახერხა რიგი ღონისძიებების ჩატარება და თავისი სიტყვა თქვა თერჯოის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო- სახელოვნებო დარგების მიღწევებსა დაწარმატებებში. 3)სპორტულ-გამაჯანსაბელი მუნიციპალური ცენტრი სპორტის 13 მიმართულებით მუშაობს,ცენტრში ფუნქციონირებს ჭიდაობის 11 ჯგუფი,, ჭადრაკის 2, ტანვარჯიშის 1,, კალათბურთის 2,,ხრიდოლის 1, სანდას 1, კინბოქსის 1, რაგბის 2, და ბავშვთა ფეხბურთის 3 ჯგუფი. 2021 წელში სპორტული სკოლის სუბსიდია განისაზღვრა 470000 ლარით. 4) დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური 2021 წელში დაფინანსებული იყო 2640.0 ათ ლარით,ფაქტ;2436,4 ათ ლარი. 5)საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ააიპი დაფინანსებულია 98.0 ათ ლარით, ფაქტ; 88,6 ათ ლარი. 6) სკოლამდელი აღზრდის ცენტრი დაფინანსებული იყო 3181,1 ათ ლარით აქედან ცენტრი101,4 ათ ლარით, ფილიალები 2795,3 ათ ლარით,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა დაფინანსებულია 284,4 ათ ლარით.ააიპების მიერ გაწეული მუშაობის დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ანგარიშების სახით და და თან ერთვის სხდომის ოქმს.

2.მოისმინეს: საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის, სამუშაო ჯგუფის კოორდინატორის ა.ურიადმყოფელის მოხსენება, რომელმაც გააცნო ჯგუფის წევრებს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ. მან განაცხადა რომ, მიუხედავად პანდემიისა,რომელმაც საკმად შეამცირა ჩვენი შემოსავლები 2021 წელი საკმაოდ ნაყოფიერი წელი იყო მუნიციპალიტეტისათვის მან განაცხადა რომ, 2021 წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს მიერ 2020 წლის 2 დეკემბერის N 22 დადგენილებით შეადგენდა 11200,0 ათას ლარს, 2021 წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება განხორციელდა 8-ჯერ და ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 20662. 0 ათასი ლარით, 2021 წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლები განსაზღვრული იყო 12224,3 ათასი ლარით, ფაქტიურმა მაჩვენებელმა 13058,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც 834,4 ათასი ლარით აღემატება გეგმიურს. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლიური გადასახდელების გეგმა შეადგენს 20662,0 ათას ლარს,ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია -19817,6 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 95,9%-ით.,, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ''2021 წელში გამოგვეყო დაფინანსება 5440,0 ათასი ლარი,რომლითაც დაფინანსდა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები. სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე გამოყოფილი 690,0 ათასი ლარიდან გახარჯულია 690,0 ათასი ლარი.ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე გამოყოფილი იყო 721,7 ათასი ლარი და გახარჯულია 652,7 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა

რომ კოვიდის პანდემია სერიოზული გამოწვევა იყო ჩვენი ქვეყნისათვის და ასევე ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის, თავი გავართვით დასახულ ამოცანებს.

აზრი გამოთქვეს: მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, რომელმაც გარკვეული შენიშვნები გამოთქვა და საინტერესო წინადადებები შეთავაზა ააიპებს და სამსახურებს გასათვალისწინებლად. მან დაავალა სამსახურებს გაეთვალისწინებინათ მოქალაქეთა ინტერესები და მოთხოვნები და მეტად გაემახვილებინათ ყურადღება მათ ჩართულობაზე,აღნიშნული საკითხების შემუშავების დროს.

სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ ააიპის ხელმძღვანელები და სამსახურის უფროსები.

1.სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი ქალბატონი მაია თორთლაძე.

2.დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახურის ხელ-ლი ტარიელ ფანჩულიძე.

3. სივრცითი მოწყობის ,ინფრასტრუქტურისა დაარქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი გოდერძი თურქაძე.

4.განათლების,კულტურისა და ტურიზმის ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი სოსო დევიძე

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დადგინდა:

1. შესაბამისმა სამსახურებმა და აიპებმა გაითვალისწინონ გამოთქმული შენიშვნები სამუშაო ჯგუფის მიერ და განახორციელონ ის რეკომენდაციები, რომლებიც ნამდვილად წაადგებათ ახალი საბიუჯეტო წელში სამუშაოების დაგეგმვისას.
2. არასამეწარმეო(არაკომერციულმა)იურიდიულმა პირებმა და შესაბამისმა სამსახურებმა გააგრძელონ შიდა საბიუჯეტო კალენდრის სრული დაცვით ყველა იმ სამუშაოს ჩატარება რომელიც გათვალისწინებულია დანართი N-2-ის მიხედვით.
3. მოწონებულ იქნეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

1. / ლაშა გოგიაშვილი /

2. / მანუჩარ რობაქიძე/

3. /მირზა ქოჩიაშვილი/

4. /ავთანდილ ურიადმყოფელი

5. / გოდერძი თურქაძე/

6. / არჩილ ქოჩიაშვილი/

7. / აკაკი ქურციკიძე/

8. / მარინა გაბეხაძე/

9. / გურამი თურქაძე/

10. /დიანა ფოცხვერაშვილი/

11. /პაატა გოგიაშვილი/

12. /ინგა გეწაძე/

13. / ტარიელ ფანჩულიძე/

14. /სოსო დევიძე/

15 / რუსუდან კოვზირიძე/

16. /ირაკლი ჩხეიძე/

17. / თამილა არჯევანიძე/

18. /მაია თორთლაძე/